თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4294736

ნომერი: AR1647855

თარიღი : 03.12.2018

გაცემის თარიღი : 07.12.2018

გაცნობის თარიღი : 13.12.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინოშვილი , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა დვალი პ/ნ 01009002221
- თბილისი, ნუცუბიძის 3 მკრ. 2კვ. 8კრ. ბინა 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N8-ში არსებული შენობის ფასადის რეკონსტრუქციის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხდება არსებული ინტენსივობის კოეფიციენტის პარამეტრების და ფართის ფუნქციის ცვლილება რაც არ წარმოადგენს პირველი კლასის სამუშოებს. შესაბამისად თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება რეკონსტრუქციის ისეთ სახეობას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას, აქედან გამომდინარე თქვენს მიერ არასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება.

აცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად, განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით და წარმოადგინოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია წინამდებარე ნომენკლატურით საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.